# 87 წლის ასაკში მწერალი თამაზ ჭილაძე გარდაიცვალა

**87 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად, ქართველი კლასიკოსი მწერალი და დრამატურგი თამაზ ჭილაძე გარდაიცვალა.**

რუსთაველის, სახელმწიფო და კიდევ რამდენიმე სხვა პრემიის ლაურეატი არაერთი პოეტური კრებულის ავტორია, რომელიც თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე.

მის პიესებს სხვადასხვა თეატრში დგამდნენ რეჟისორები: რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, გიზო ჟორდანია, გიგა ლორთქიფანიძე და სხვები.

თამაზ ჭილაძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სხვადასხვა ჟურნალს, იყო მწერალთა კავშირის მდივანი.